

ვესილ ელაშვილი

ქართული ჭილაობა



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი—1975

7A3.5(C41)
796.8(47.922)
B 527

ბროზურა მკითხველს გააცნობს ქართული ზიდაობის არსს, ისტორიას, ტრადიციებს, წყაროებს, მის დიდ მნიშვნელობას ფიზიკური აღზრდის საქმეში.

ფ $\frac{60902--210}{M601(08)--75}$ 414—75

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,—1975

„ჭიდაობას რა უნდა...“ ამ სიმღერას ერთნაირი ხალისით მღერიან როგორც ამიერ, ისე იმიერ საქართველოში. ერთი შეხედვით, ხალხი თითქოს აუბრალოებს მას, როცა მღერის ჭიდაობას რა უნდაო... მაგრამ ნუ დაგვაფიწყდება, რომ იქვე დასძენს — წამოკიდება უნდაო. წამოკიდებას კი ძალა, მოხერხება (სიმარჯვე) და, რაც მთავარია, ვარჯიშობა სჭირდება, რათა წრეში გასული ვაჟკაცი არ შერცხვეს, სხვამ არ წამოიკიდოს. ასეა ქართულ ჭიდაობაში. რაკი მოჭიდავემ გაბედა და ჩოხა ჩაიცვა, იგი წრეში ვეფხვივით უნდა ტრიალებდეს და ფანდების კასკადს ატარებდეს. სწორად შენიშნავდა ანტონ ფურცელაძე: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევი...“

ქართული ჭიდაობა ნამდვილი სახალხო ზეიმია. აბა წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: დიდი, ასწლოვანი კაკლის ძირას მთელი სოფელი შეკრებილა. ზურნამ და დოღმა შესძრა იქაურობა. თუ ზურნა არ არის, სალამური აპყვება დოღს და თუ არც ერთია და არც მეორე, მაშინ საჭიდაოს მღერიან. აბა ვის არ გაუგონია გარეკახური საჭიდაო. შერჩეულ წყვილებს გამრიგებელი ანუ შუამავალი მსაჯი ხელმძღვანელობს. ჭიდაობის დაწყებამდე ფალავნები ხალხის მოთხოვნით ჯერ ცეკვავენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფალავანი ცეკვაშიც ამჟღავნებს თავის სიმარჯვეს, მოქნილობას და ამით არსებით გავლენას ახდენს მოწინააღმდეგეზე. ესეც არ იყოს, ჭიდაობის წინ ცეკვა ხომ თითქმის იგივე მოთელვაა.

ჭიდაობა იწყება... ქართული ჭიდაობის დროს არ შეიძლე-

ბა წაქცეულზე ძალის ხმარება, კოტრიალი, გაჩაჩხული დგო-
მა, სარბიელიდან გაქცევა. ჭიდაობენ ზეზეულად. როდესაც
ერთ-ერთი მორკინალი იმარჯვებს, ისევე გაისმის ხმები: „იცი-
კვონ!“ და ცეკვავს გამარჯვებული, ცეკვავს დამარცხებულიც,
შემდეგ ერთმანეთს ძმურად კოცნიან და მათ ადგილს ახალი
წყვილი იკავებს.

ჩვენ აქ ჭიდაობის იდეალური სურათი არ დაგვიხატავს.
უბრალოდ ასეთმა წესრიგმა შემოგვინახა დღემდე ჭიდაობის ეს
უადრესად რაინდული და პოპულარული სახეობა.

თავდაპირველად ქართული ჭიდაობა ალბათ საბრძოლო
ჭიდაობა იყო. დროთა განმავლობაში პირობით ჭიდაობაში
გადაიზარდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი, როგორც ფიზი-
კური ვარჯიშობის დამოუკიდებელი სახეობის ჩამოყალიბება,
ხოლო როდესაც ფიზიკური აღზრდა გამოეყო საერთო აღზრ-
დას და შედარებით დამოუკიდებელ დარგად იქცა, ჭიდაობა
ზუსტად დადგენილი ტექნიკით, შემოქმედებითი ტაქტიკით და
შეჯიბრების ჩატარების ერთიანი წესებით, საბოლოოდ ფიზი-
კური აღზრდის საშუალება გახდა.

ჭიდაობა ხალხური დღესასწაულების ერთ-ერთი მთავარი
შემადგენელი ნაწილი იყო და ვისაც კაიყმის სახელი უნდოდა
პოეპოვებინა, მას ჭიდაობა უნდა სცოდნოდა. ახალგაზრდობა
წინასწარ ემზადებოდა ამ დღესასწაულებისათვის, რათა საკუ-
თარი ძალა და მომზადებულობა გამოეცადა სარბიელზე. ასე-
თი თავყრილობის დროს უხუცესები ამოწმებდნენ მომავალი
თაობის ფიზიკური მომზადებულობის დონეს. ამას გარდა,
თვით ახალგაზრდები (მოჭიდავეები) ეცნობოდნენ სხვადასხვა
იღეთებს, ტაქტიკურ ხერხებს, ერთმანეთს უზიარებდნენ გა-
მოცდილებას.

რა შეიძლება ითქვას ქართული ჭიდაობის სათავეებზე?

ახალგაზრდობა ცხოვრების მეტწილ დროს გარეთ ატარებ-

და (ველ-მინდვრად, მწყემსობაში). მან არ იცოდა საიდან წამოეპარებოდა ნადირი ან საიდან დაეცემოდა მტერი. რთულ კლიმატურ პირობებში ბავშვის ორგანიზმი ფიზიკურად იწრთობოდა, რაც უადვილებდა მას მოულოდნელი სიძნელეების გადალახვას.

ადამიანმა თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე უკვე იცოდა, რომ მისთვის მთავარი იყო ძალთა სწრაფი მობილიზება ყოველი მომხდურის წინააღმდეგ. მაშინ მისი იარაღი მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონე იყო. იგი დარტყმებითა და ჩაბლუჯვით ცდილობდა დაეჯაბნა მოწინააღმდეგე.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ჰიდაობა საქართველოში ყველაზე მეტად ისეთ რაიონებში გავრცელდა, რომლებიც მტრის გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიდნენ, სადაც მცირერიცხოვან ხალხს თავი უნდა დაეცვა მრავალრიცხოვანი მტრის მოძალებისაგან. ასეთი რაიონები უფრო აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო იყო. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში ჰიდაობის მეტად საინტერესო და ურყევი ტრადიციები შეიქმნა.

როდესაც ამ ფიზიკური ვარჯიშის შესწავლა დაიწყო, ხალხში უკვე არსებობდა ჰიდაობის ორგანიზაციის ჩამოყალიბებული სისტემა. თითოეულ რაიონს, ასე განსაჯეთ, ხშირად ცალკეულ სოფლებსაც კი თავისი ლოკალურად ჩამოყალიბებული წესები ჰქონდათ.

ვიდრე ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ მასალებს მიმოვიხილავდეთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება შევეხოთ ტერმინ „ფალავნის“ საკითხს.

ტერმინი „ფალავანი“ სპორტის ბევრ სპეციალისტს ამ ბოლო დროს სხვადასხვაგვარად ესმის, თუმცა ლიტერატურაში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, იგი სწორადაა ახსნილი. ყველა რუ-

სულ-ქართულ (1937, 1940, 1958 წწ.) თუ ქართულ-რუსულ (1948 წ.) ლექსიკონში „черпики“ ქართულად ჩემბიონია—ფალავანი და პირუკუ. ასევეა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რუსულ-ქართული სპორტული ტერმინოლოგიური ლექსიკონის მაკეტში. ამ მხრივ გამონაკლისია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც „ფალავანი“ ახსნილია როგორც „კარგი ვაჟაკი“, „გმირი“ და საერთოდ „მოჭიდავე“. ამ განმარტებას ვერ დაგეთანხმებით. განა ყველა მოჭიდავეზე იტყვიან ფალავანიაო? „ფალავანს“ მუდამ შეუფერებელ გამოთქმად მიიჩნევდნენ ისეთი მოჭიდავისათვის, რომელიც საუბნო, სასოფლო თუ სათემო შეჯიბრებაში გამარჯვებული მაინც არ იქნებოდა.

ქართულ ლიტერატურაში ცნება „ფალავანი“ უმთავრესად ისეთ კონტექსტში გვხვდება, რომ იგი უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც გამარჯვებული (ამასთან არაერთგზის) და არა როგორც უბრალოდ „კარგი ვაჟაკი“, თუნდაც „გმირი“, მით უმეტეს, როგორც „საერთოდ მოჭიდავე“. დ. ჯანელიძე თავის წიგნში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ ყეენობის აღწერისას წერს: „შემდეგ ხალხი ორ ბანაკად იყოფა, ორ მოჭიდავეს გამოჰყოფენ, იმართება მათი ფალავნების ჭიდაობა“. ვფიქრობთ, აქ ნათლად ჩანს, რომ ფალავანი ჩვეულებრივა „მოჭიდავე“, „კარგი ვაჟაკი“ და „გმირი“ კი არ არის, არამედ გამარჯვებული (იმარჯვებს შეჯიბრებაში, თანაც იმარჯვებს არაერთხელ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიდაობა ძველად სოფლებში ძალიან ხშირად, კვირაში ერთხელ მაინც იმართებოდა და ყოველ შეჯიბრებაში ახალ-ახალი ფალავნები ვლინდებოდნენ, არ უნდა გაგვიკვირდეს ამ ტერმინის ასე ფართოდ გავრცელება. მოვიყვანოთ სხვა ადგილები დ. ჯანელიძის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან. „...ჩვენ ჩვენი პარტიიდან გამოვიყვანთ

ერთ ფალავანს, დავჭიდნოთ ორნივე და ვისმა ფალავანმაც გაიმარჯვოს, ყეენობაც იმას დარჩეს“.

კარგ მოჭიდავეს მუდამ არჩევდნენ საქართველოში. ყეენობის დროს ჭიდაობაც იმართებოდა და შემთხვევითი არ იყო, რომ „...ყეენად მუდამ კარგ მოჭიდავეს აყენებდნენ“ (საქ. სახ. თეატრალური მუზეუმის ხელნაწერი, № 38).

თურქულ-რუსულ ლექსიკონში „ფეხლევან“ (ჩვენებურად ფალავანი) ახსნილია როგორც ათლეტი, მოჭიდავე, გმირი, გოლიათი. ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, სპარსულიდანაა გადასული. ვფიქრობთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ფალავანი“ ამის გავლენით უნდა იყოს ახსნილი.

არ ვდავობთ იმის თაობაზე, რომ სპარსულში, ისევე როგორც თურქულში, „ფეხლევანი“ მართლაც ათლეტს, ამასთან არა მარტო გმირსა და გოლიათს, არამედ საერთოდ მოჭიდავესაც კი აღნიშნავს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ქართულ ენაში ფალავანი აუცილებლად ჭიდაობაში გამარჯვებულს ნიშნავს (ამ ბოლო დროს ეს სიტყვა გავრცელდა სპორტის სხვა სახეობებშიც. გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი 1937 წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონიდან).

უძველესი ცნობები ჭიდაობის შესახებ ანატოლიაში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვიპოვა. არაბების ოიერ დანგრეული ქალაქის ქსანტოსის გათხრების დროს აღმოჩნდა დიდი სტელა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 525 წლით თარიღდება. ამ სტელაზე რელიეფია, რომელიც ჭიდაობას გამოხატავს.

რა კავშირი აქვს მას ქართულ ჭიდაობასთან?

საქმე იმაშია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V—VI საუკუნეებში წინა აზიის დიდი ტერიტორია ხეთურ-იბერიულ ტომებს ეკავათ. ხეთები ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, სუბარე-

ბი — მესოპოტამიაში. ისტორიკოსების მიერ საკმარისადაა შესწავლილი ამ ხალხების კულტურა და მისი გავლენა აღმოსავლეთზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVII საუკუნეში სუბარებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომლის გამგებლობაში მრავალი წლის განმავლობაში შედიოდა ასურეთიც, ე. ი. მისი გავლენა განიცადეს ხეთებმაც. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი დამოკიდებული ურთიერთობა გავლენას მოახდენდა ყველა დარგზე და განსაკუთრებით ხალხურ კულტურაზე, კერძოდ ჭიდაობაზე. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ქვაზე ამოკვეთილად რელიეფი ქართული ჭიდაობის გავლენითაა შექმნილი.

ასევე ითქმის ბრინჯაოს ქანდაკებაზე, რომელიც კათაჯაბ კულტურას განეკუთვნება. იგი აღმოაჩინეს მესოპოტამიაში, დაკლოს სამეფოში და დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის 2600 წლით. მასზე აღბეჭდილია ორი ათლეტური აღნაგობის მოჭიდავე, რომლებსაც ერთმანეთისათვის ქამრებში ჩაუვლიათ ხელები. ამასთან თავზე ორივეს ადგას თიხის მალაღლი ჭურჭლები (ჭილები). უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს პლასტიკური მანერით შესრულებული მოჭიდავეების გამოსახულებაა და საკულტო დანიშნულება აქვს. გაურკვეველია ის, რომელი ტომის მიერ არის გაკეთებული ზემოაღნიშნული ბრინჯაოს ქანდაკება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ შუშერებს კავკასიის მთებიდან წასულებად და იქ დასახლებულ ტომად მიიჩნევენ და საერთოდ მათთან ბევრი რამ გვაკავშირებს, უნდა ვთქვათ, რომ მოჭიდავეთა პოზა მეტად ახლოა ქართულ ჭიდაობასთან.

ამის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა კ. კოლუამ. მან აღნიშნა, რომ შუშერული ჭიდაობის ილეთი მეტად წააგავს ქართულ ფანდსო. შემდეგ კ. კოლუამ სპეციალურად შეისწავლა შუშერული ენა და თავის მოსაზრებას პასუხიც ნოუძებნა. მან ქართულ და შუშერულ ენებში აღმოაჩინა საერ-

თო სიტყვები განსაკუთრებით ადამიანის ნაწილებისა და ჭი-
დაობის ფანდების სახელწოდებებში. კ. კოლუამ ამ შედარებე-
ბიდან ასეთი დასკვნა გამოიტანა: „შუმერული მოჭიდავენი იმ
ფანდს ასრულებენ, რომელიც დღევანდელ ქართულ ჭიდაო-
ბას შემოუნახავს, ენობრივი დამთხვევა მიუთითებს ქართულა
ჭიდაობის შუმერულ წარმოშობაზე“.

შუამდინარეთში (ხაბარჯა-ერაყი) ადგილობრივი არქეოლო-
გების მიერ 1943 წელს აღმოჩენილ იქნა ქვაზე ამოკვეთილი
ბარელიეფი. ამ ბარელიეფზე ასახულია ჭიდაობის დაწყებისა
და ფანდების შესრულების სხვა მოძენტები, რაც გვაგონებს
ქართული ჭიდაობის იმ ვარიანტს, რომელიც ჩვენს მიერ იყო
დამოწმებული ზემო სვანეთში 1955 წელს¹.

მეტად საინტერესო ცნობები მოიპოვება მესხურ ქრონი-
კებში. სამცხე-საათაბაგოს თავკაცები — ყვარყვარე და მანუ-
ჩარი სულთანს გაუწვევია სტამბოლში. ტირანის მოთხოვნით
მანუჩარს მაჰმადიანობა მიუღია, ხოლო ყვარყვარე ქრისტიანა
დაბრუნებულა. ქრონიკა გადმოგვცემს: „პატრონი ყვარყვარე
ღუთის წინაც შეურცხუენელი და კაცთანაცა ფალავანი დას-
ცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოეშუა მისის საბატო-
ნოს წყალობა ექმნა“².

უნდა ვიფიქროთ, ყვარყვარე დიდი ფიზიკური ძალის ფა-
ლავანი ყოფილა, ასეთ სარისკო საქმეზე რომ წასულა. ამ ორ-
თაბრძოლას ხონთქარის სასახლეში ალბათ საგულდაგულოდ
ამზადებდნენ და მორალურად შეუდრეკელ ყვარყვარეს ფიზი-
კურად დაჯაბვნას ვარაუდობდნენ. მაგრამ ჩვენი მოჭიდავეების

¹ „ლელო“, 1957., 3. X., № 119.

² „სამი ისტორიული ხრონიკა“ (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა
და ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა) გადმოცემული ვრცე-
ლის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვათა
ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890, გვ. 109.

ამ სახელოვანმა წინაპარმა ორივე გამოცდას გაუძლო: „ფალავანი დასცა ხუანთქართანა“ და „ლუთის წინაც შეურცხუენელი და კაცთანაცა“ დაბრუნდა სამშობლოში. ეს ამბავი მე-16 საუკუნეში მომხდარა.

უფრო აღრინდელი ცნობებიდან საინტერესოა ფრანცისკანელი ბერის ჯიოვანო პლანო კარპინის ნაამბობი. მან რამდენიმე წელი დაჰყო მონღოლთა ურდოში, აღწერა მათი ზნე-ჩვეულებანი, ყოფა და ერთი ჩვენთვის საინტერესო ფაქტიც შეზოგვინახა. აი რას წერს იგი: „სხვა ადამიანების საზოგადოებას იპდენად ვერ იტანენ, რომ მათთან ლაპარაკიც არ სურთ და თამაშობა იქნება თუ სხვა რამე ყოველთვის მათი დაჯაბნვა უნდათ. ერთხელ მათს ჯარში მყოფი ორი ქრისტიანი ქართველი მათავე გაწვევით ხუმრობით ორ თათარს დაეჭიდა და ორივე დასცა, მაგრამ ისე კი, რომ მათთვის არაფერი დაუშავებათ. სხვა თათრები გაბრაზდნენ, ქართველებს გაათრებთ ეცნენ, თითოს თითო ხელი მოჰკლიჯეს და დაამტვრიეს“. ასეთი უბედურება დაატყდათ თავს საქართველოს მეფეთა მხლებლებს მონღოლთა ურდოში 1246 წელს.

საქართველოში ჭიდაობის ძველ ისტორიაზე, ლაპარაკობს მრავალი ლიტერატურულ-ისტორიული წყარო (მაგალითად, „ამირანიანი“) და ზოგიერთი ეპიგრაფიული მასალა. ალავერდის ტაძარზე (მთავარი შესასვლელის ზემო ნაწილში) შენობაჩენილია შესანიშნავი ფრესკა. იგი დათარიღებულია მე-15 საუკუნით, რომელზედაც, როგორც ეს. პროფ. ალ. რობაქიძის მიერაა გამოკვეთული, ქართული ჭიდაობის ერთი მომენტი აღბეჭდილი.

ზემოხსენებული დოკუმენტი ქართული ჭიდაობის ისტორიის ერთ-ერთი წყაროა. ამ საკითხზე ჩვენ არ მოგვეპოვება უფრო აღრინდელი წერილობითი წყაროები, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა მსჯელობა საქართველოში ჭიდაობის

თავისებური სახეობის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, ამ დოკუმენტის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა მაინც ვიქოხიოთ მოქიდავეთა ტანსაცმელზე და ჭიდაობის სხვა საინტერესო მხარეებზე.

არსებობს აზრი, რომ ზემოხსენებული ფრესკა სასულიერო პირის მიერ იმ ხალხის წყევლა-კრულვას გამოხატავს, რომლებიც ისეთ „ამქვეყნიურ“ გართობას მისდევენ, როგორც ჭიდაობაა. ალ. რობაქიძე ნაწილობრივად იზიარებს ამ აზრს. როგორც ცნობილია, ქრისტიანული ნაგებობანი უმეტესად იმ ადგილებში შენდებოდა, სადაც ადრე წარმართული ხალხური კულტის შესრულებას ჰქონდა ადგილი. შემდგომ ამ ადგილებში ისევ გრძელდებოდა სხვადასხვა სასიათის ხალხური დროსტარება, მათ შორის სპორტული შეჯიბრებანიც (ჭიდაობა, ცხენოსნობა, ფარიკაობა, მშვილდოსნობა და მრავალი სხვ.), რაც ცხადია, არ ემთხვეოდა ქრისტიანული რელიგიის იდეებს. ქრისტიანობა მკაცრად ილაშქრებდა ყოველგვარ მიწიერ გართობათა წინააღმდეგ. ამის შესახებ სპეციალური „რუს-ურბნისის კრების“ დადგენილებაც კი არსებობდა. (1103 წ.).

ცნობები ქართული ჭიდაობის შესახებ მე-17 და მე-18 საუკუნეებში უკვე მრავლად გვხვდება. ამ ცნობების მიხედვით შეგვიძლია სრულად წარმოვიდგინოთ მისი მნიშვნელობა ხალხის ფიზიკური აღზრდის საქმეში.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა არჩილ მეფის (მე-17 ს.) მითითებანი ფიზიკური აღზრდის მაშინდელი ქართული სისტემისა და ჭიდაობის ფანდების აღწერის შესახებ:

ხტომა, ქვის გდება,
მოგვერდი ფანდიც რამ არი...

მე-19 საუკუნესა და მომდევნო პერიოდში უკვე გამოჩნდნენ ქართული ჭიდაობის სახელგანთქმული ფალავნები. მათ

შორს გაითქვეს სახელი და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა კერპები გახდნენ. ასე მაგალითად, პოეტ გრიგოლ ორბელიანის საყვარელი ფალავანი იყო დ. ხიზამბარელი, რომელიც ლეგენდარული ძალისა და იმ დროისათვის საუკეთესო ტექნიკის მოჭიდავე იყო.

ჭიდაობის დიდი ქომაგი გახლდათ ილია ჭავჭავაძე. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო თბილისში ჭიდაობა კულა გლდანელსა და ნესტორ ესებუას შორის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თავის გაზეთ „ივერიაში“ დიდ ადგილს უთმობდა ქართულ ჭიდაობას და სპორტის სხვა სახეობებს. ასევე დიდი სიმპათიით ეკიდებოდა ქართულ ჭიდაობას აკაკი წერეთელი. იგი ბევრს წერდა ჭიდაობაზე, ხაზს უსვამდა მის ხალხურობას და საინტერესო დასკვნებიც გამოჰქონდა. სპორტის ეს სახეობა მას შესანიშნავად აქვს აღწერილი „ბაში-აჩუკში“, ხოლო გლდანელისა და ესებუას შერკინებას სპეციალური ლექსიც კი უძღვნა. როგორც ირკვევა, „ძველი მოჭიდავის“ ფსევდონიმით ივერიაში გამოქვეყნებული წერილები ქართულ ჭიდაობაზე აკაკის კალამს ეკუთვნის.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ანტონ ფურცელაძე გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევი, თითო ისეთ მოჭიდავეს ნახავთ, რომ სულ საოცრებიდან გამოგიყვანთ“... მას ერთ ადგილას აღწერილი აქვს დ. ხიზამბარელის ჭიდაობა: „ერთი სიტყვით, ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს სანამდე განვითარებულა ჩვენში ჭიდაობა“¹.

ამავე პერიოდის ქართულ პრესაში ხშირად ვხვდებით ცნობებს ქართულ ჭიდაობაზე. აი რას წერს „ივერია“: „ჭიდაობაც

¹ „დროება“, 1867, I. IX. (№ 35), გვ.3.

გაიმართა, საჭიდაო ზურნაც დაჰკრეს და ორი ლომივით ბიჭი გადმოცვივდნენ ხალხითგან ხტომითა და თამაშობითა, შეიბნენ ლომნი, ზურნამაც მოუმატა თავის ხმას. ხალხი სულგანაბული შესცქერის. აი ბოლოს ...მოიქნია ერთმა და ისე ლაზათიანად დასცა, რომ შენი მოწონებული. „მაღალი წოდების ხალხითგან“ მოისმა, სწორედ რომ პოეტურად დასცაო. მართლაც რომ პოეტური იყო! აქ ზურნა, ზურნაზე ჭიდაობა, გარშემო ხალხის ღელვა და თვალ-გაფაციცება — აბა ვინ ჰსძლევისო, იქ ისე მამაცურად ზურგიდან გადმოღება — პოეზიაა, მა რა არის?“¹.

მაგრამ ჭიდაობის განვითარებაშიც ბევრი იყო „შავი დღეები“. გავიხსენოთ თუნდაც ის პერიოდი, როდესაც მეფის რუსეთის მთავრობამ აკრძალა სახალხო გართობების მოწყობა-ჩატარება. სწორედ ამას ეხებოდა აკაკის წერილი „დროებაში“, რომელშიც გულისწყრომით წერდა: „ნათლილებას ზურნა აუკრძალიათ, მეზურნეები დაუპატიმრებიათ ...რა ჰქნას ჩვენმა ხალხმა... ნუთუ იმას ნება არ უნდა ჰქონდეს; რომ კვირაში ერთხელ შრომისა და ოფლის ღვრის შემდეგ გული გაიშხიარულოს? როგორ მოიკლას კაცმა თავისი ჭირი და ლხინი?“².

ამ მხრივ მეტად საინტერესოა მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწის სერგეი მესხის აზრი. ერთი მხრივ იგი ილაშქრებდა რელიგიისა და საერთოდ ყველა დრომოქმულ წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ, მაგრამ, ამასთანავე, მორითხოვდა, რომ ხალხისათვის შეენარჩუნებინათ საკუთარი სახე. იგი გულისტკივილით ამბობდა: „...რითა სხვა თამაშებზე ნაკლები ჩვენი ბურთაობა; ჭიდაობა, ფალავანდობა, ჯირითობა?.. ცვლილება გვჭირდება, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც თან ჩვენს გაუფერულებას, გაქრობას მოიტანს“³.

¹ „ივერია“, 1878, № 21, გვ. 6.

² „დროება“, 1880, № 8, გვ. 1.

³ სერგეი მესხი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 435.

ზემონათქვამის მიუხედავად, ყველა დიდ ხალხურ დღესასწაულებზე (მცხეთობას, ალავერდობას, ფერიცვალობას, გორიჯვრობას და სხვ.) ხალხი კრავდა წრეს, ზურნაც აჭყვიტინდებოდა და სარბიელზე ფალავნები ფალავნობდნენ.

თუ როგორ იყო ქართველი ხალხი გატაცებული მე-19 საუკუნეში ჭიდაობით ამის დასადასტურებლად მხოლოდ ერთ ცნობას მოვიყვანთ: „არც სარა. ბერნარზე და არც ადელინა პატიზე ასეთი თავისმტვრევა არ გვინახავს, როგორც გლდანელის ჭიდაობაზე... პოლიციიდან ასი კაცი იყო მოწვეული, ცხენოსანი ყაზახებიც, მაინც ვერ იმაგრებდნენ“¹.

ქართულმა ჭიდაობამ მერე და მერე უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. თბილისში შეიქმნა ე. წ. „კრუგები“ (იტალიის — მუშტაიდის ბალებში). ცნობილმა მოჭიდავემ ნ. ესებუაშაც გამართა „კრუგი“, რომელსაც „სამეგრელო“ დაარქვა.

თუ სოფლად ქართულ ჭიდაობას ბოლომდე შემორჩა ხალხურობა და ყოველგვარი ოფიციალური შეჯიბრებების გარეშე ტარდებოდა, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში დაიწყეს ჩემპიონატების ჩატარება — პირველ რიგში კლასიკურ ჭიდაობაში. ჩვენში ჭიდაობის ტრადიციას იმდენად ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი, რომ ქართველმა ფალავნებმა სწრაფად აითვისეს მანამდე უცხო ჭიდაობა და ტოლი არ დაუდეს მყვარალა ტიტულების მქონე პროფესიონალურ მოჭიდავეებს.

ჩვენ იმის თქმა სულაც არ გვინდა, თითქოს საქართველოში მხოლოდ ქართული ჭიდაობა იყო გავრცელებული და ერის ფიზიკურ განვითარებაში მხოლოდ მას მიუძღვის დამსახურება. პირიქით, ფიზიკური აღზრდის საშუალებათა ქართული ხალხური სავანძური მეტად მდიდარია. რომელი ჭკუათმყოფელი უარყოფს მშვილდოსნობას, ფარიკაობას, ცხენოსნობას,

¹ „ღროება“, 1883, № 102, გვ. 3—4.

ლელიობურთს და ბევრ ჯერ კიდევ გამოუვლინებელ და აღუდგენელ სახეობას, რომლებიც ერთ ძაფზე იყო ასხმული კრიალოსანივით და ერთმანეთთან სინქრონული კავშირით ხელს უწყობდნენ მასების ფიზიკურ აღზრდას.

მაგრამ ქართული ჭიდაობა შაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია. იგი ოდითგანვე ქართველი ხალხის ყოფის მუდმივი თანამგზავრია და, შეიძლება ითქვას, ყველა დანარჩენ სახეობებს შორის ყველაზე უფრო მასობრივია და პოპულარული. მან დიდი როლი შეასრულა სპორტული ტრადიციების ჩამოყალიბებაში.

ქართული ჭიდაობა იმ ფორმით, რაც მას დღეს აქვს შერჩენილი, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან და სავლეთშიც მოიკიდა ფეხი. ამჟამად კი ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაოდ გავრცელებული სახეობაა და ხალხური სპორტიდან ხალხურ-ეროვნულ სპორტად¹ იქცა.

თავის დროზე ქართულ ჭიდაობაზე ბევრი დაიწერა ჩვენს პრესაში, კამათი იყო ამ საინტერესო სახეობის ყველა დეტალზე: შეჯიბრების წესებზე, წონით კატეგორიებზე, სარბიელის ზომებზე, მისი მასობრიობის აუცილებლობაზე და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ჭიდაობის განვითარების შოაშაგეებს დღემდე არ მოჰგონებიათ მისი ტექნიკური არსენალის გაზრდა. უამთა სვლამ თავისი გაიტანა. ქართულმა ჭიდაობამ ცვლილებები განიცადა — თანამედროვე ელემენტებით შეივსო. მაგრამ იგი ძირითადად შეეხო ჭიდაობის წესებს, ტექნიკას კი არა. ყველა სპეციალისტი ერთხმად აცხადებს, რომ ბევრი ილეთი მივიწყებას მიეცა, გადაგვარდა, ან მწო-

¹ იხ. ჩვენი „ფიზიკური კულტურის ქართული ხალხური ტრადიციები და თანამედროვეობა“, გამომც. „მეტსწიერება“, თბ. 1973 წ., გვ. 74, 77 (რუსულ ენაზე).

ლოდ მესხიერებას შემორჩა და პრაქტიკაში აღარავინ იყენებს.

უკანასკნელ წლებში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეროვნული სპორტის სახეობათა განვითარებისათვის. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სპორტის ოსტატის წოდების შემოღება. აღნიშნულმა ღონისძიებამ ერთგვარი სტიმული მისცა ახალგაზრდებს და გამოაცოცხლა სექციური მუშაობა ამ სახეობაში. სულ ახლახან ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფრიალ მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო ხალხური სპორტის შემდგომი აღმავლობის თაობაზე. კერძოდ, აი რა წერია ზემოხსენებულ დადგენილებაში: „სპორტის საერთაშორისო სახეობებს დიდი და გამოუდმებელი ყურადღება სჭირდება. მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს ხალხურ-ეროვნული სახეობების განვითარება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ეს სახეობა აძლევს საზრდოს საერთაშორისო სპორტს. ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს მოძრავი თამაშებისა და ცალკეული ფიზიკური ვარჯიშების შესწავლის გამოცდილება თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირობებში, მაგრამ ამან ფიზიკური აღზრდის პროგრამებსა და პრაქტიკულ მუშაობაში ასახვა ვერ პოვა. თბილისის უნივერსიტეტში წარმატებით სცადეს ეროვნული თამაშის — ფარბურთის დანერგვა, მაგრამ სუსტი ორგანიზაციის გამო ეს კარგი საქმე წინ ვერ წავიდა. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკურ ვარჯიშთა ადგილობრივი ტრადიციული სახეობებისა და მოძრავი თამაშების გამოყენება, მით უმეტეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის ყველა კურსდამთავრებული ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოფლად ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციაში.

ფიზიკური აღზრდის ხალხურ-ეროვნულ საშუალებებს გარკვეული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ საბავშვო ბაღებში, ბაგებსა და სახლებში. არსებითად იქ უნდა ჩაეყაროს საძირკველი ხალხური მოძრავი თამაშების, ფიზიკური ვარჯიშების დანერგვას. ეს ხელს შეუწყობდა ადგილებზე დაგროვილი გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას, სისტემატიზაციასა და პოპულარიზაციას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, საქართველოს სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლებს, სადაც დანერგილია სპორტის ესა თუ ის ხალხური სახეობა. უმაღლეს სასწავლებლებში გამართული შეჯიბრებების პროგრამაში სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობებიც უნდა იყოს შეტანილი.

ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებათა შესწავლისა და დანერგვის მიზნით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გაშლას დიდად შეუწყობდა ხელს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა ცოდნის განზოგადება ამ საკითხში. ერთმანეთის ეროვნული სიმდიდრის გაცნობა ხელს უწყობს ახალგაზრდების უფრო მტკიცედ შეკავშირებას, განაპირობებს ფიზიკური აღზრდის ინტერნაციონალიზაციას. ამაში გამოიხატება მოცემული პრობლემის სწორად გადაჭრის საერთაშორისო მნიშვნელობა.

საკითხის პრაქტიკულად სწორად გადაჭრა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად გარკვეული იქნებიან ამ პრობლემაში ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულნი. ამიტომ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის ხალხურ პედაგოგიკას სათანადო ადგილი უნდა მივაკუთვნოთ. ეს საშუალებას მოგვცემს მოვამზადოთ ხალხურ-ეროვნული ფიზიკური კულტურის თანამედროვე ფორმათა კვალიფიციური პროპაგანდისტები და მასწავლებლები.

სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობების დანერგვის ხელმძღვანელობაში განსაკუთრებული როლი სასოფლო სპორტულ საზოგადოებებს ეკუთვნის. სასოფლო რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად მათ აქტიურად უნდა იმუშაონ ამ სახეობათა განვითარებისათვის. რესპუბლიკის დანარჩენმა ნებაყოფლობითმა სპორტულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ სისტემატურ მუშაობას სპორტის ხალხურ-ეროვნული სახეობების დანერგვისათვის.

დადგენილებაში ზოგადად არის ნათქვამი ეროვნული სპორტის განვითარების გზებზე. აქ, რასაკვირველია, მთავარი ადგილი უჭირავს ქართულ ჭიდაობას, როგორც ყველაზე პროგრესულს, პოპულარულსა და ნაყოფიერს. ამ უკანასკნელ სიტყვას განგებ ვხმარობთ. დიახ, ყველაზე უფრო ნაყოფიერი ქართული ჭიდაობაა: ამ კეთილშობილურმა სახეობამ საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს იმდენი ჩემპიონი მისცა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობებში, სამბოსა და ძიუდოში, რამდენიც საქართველოში კულტივირებულმა 44-მა სახეობამ ერთად აღებულმა. მკითხველს ალბათ გაუკვირდება, სად ქართული ჭიდაობა და სად საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები? ქართული ჭიდაობა ხომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არ არის კულტივირებული? მაგრამ გასაკვირი არაფერია, ჩვენი სახელოვანი ფალავნების—მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონების წარმატებებს სწორედ ქართულმა ჭიდაობამ მისცა დასაბამი. აქედან დაიწყო მათი ტრიუმფალური სვლა სპორტული მწვერვალებისაკენ.

1955 წელს საქართველოს იაპონელ მოჭიდავეთა გუნდი ეწვია. ყველასათვის ცნობილია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში განვითარებულია ჭიდაობის რამდენიმე ეროვნული სახეობა.

მათ შორის ძიუდომ საერთო აღიარება მოიპოვა. გუნდს ახლდა ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სასახარა. იაპონელები ეწვივნენ სოფელ მეჭვრისხევს. კვირა დღე იყო. ხალხი შეკრებილიყო ნახერხმოყრილი სარბიელის გარშემო და ჩვეული აზარტით ადევნებდა თვალს სოფლის ბიჭების ჭიდაობას. სასახარა, რომელსაც ჭიდაობის სპეციალური სკოლა ჰქონდა დამთავრებული, ასეთ სიურპრიზს არ მოელოდა. წრეში პატარა ბიჭები ისეთ ელვისებურ ილეულებს ასრულებდნენ (კისრულით გადადიოდნენ, ოსტატურად ხმარობდნენ მოგვერდს, შუაკაურს, სარმას), რომ სასახარამ მწვრთნელი მოიკითხა. როცა უთხრეს, ამ ბავშვებს მწვრთნელი არა ჰყავსო და აუხსნეს, რომ ჭიდაობა საქართველოში თაობიდან თაობაში გადადის და ხალხია მისი მწვრთნელიცა და პატრონიც, ოლიმპიურმა ჩემპიონმა განაცხადა: ახლა ჩემთვის გასაგებია. რატომ არის ასე განვითარებული საქართველოში ჭიდაობა. მას ალბათ ანბანთან ერთად ითვისებენ ბავშვები თავიანთი ძმების, მამებისა და პაპებისაგან.

ირანის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მანსურ მეხტი-ზადემ გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტთან, ნოდარ გუგუშვილთან საუბარში განაცხადა: „საქართველოს დიდი ამაგა მიუძღვის ჭიდაობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში ...უთქვენოდ ჭიდაობა ვერც წარმომიდგენია. ეს ჩემი რწმენაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს მრავალი წლის ცოდნა და გამოცდილება“.

მაგრამ მარტო ქება-დიდება არ კმარა. საჭიროა ქართული ჭიდაობის შემდგომ განვითარებაზე, ილეუების დახვეწაზე, წესების დაზუსტებაზე ზრუნვა. ყოველივე ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მან თავისი ეროვნული იერი არ დაკარგოს. ამიტომ ახლა მწვავედ დადგა ამ შესანიშნავი ჭიდაობის არსენალის კიდევ უფრო გაზრდის საკითხი. იგი უნდა შეივსოს ახალი

ილეთებით. მაგრამ საიდან მოვიტანოთ ეს ილეთები? ქართული ჭიდაობის გარდა განა გვაქვს კიდევ ჭიდაობის სახეობა, საიდანაც შეგვიძლია სესხება? რასაკვირველია, გვაქვს. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით მთიანეთში, შემონახულია ჭიდაობის ვარიანტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დღევანდელი ქართული ჭიდაობა მისი სინთეზი და განვითარების საფეხურია. თუ ეს ასეა მაშინ ამ ვარიანტებს შემონახული ექნებათ სხვადასხვა ილეთები, რომელთა შესწავლა-დამუშავებამ შეიძლება კარგი შედეგი მოგვცეს. ნათქვამის დასასაბუთებლად შევჩერდებით ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ მეტად საინტერესო ვარიანტზე — სვანურ ჭიდაობაზე.

სვანური ჭიდაობა „ლიბრგიელ“ თავისი ორგანიზაციით, ნაწილობრივ ფანდებით, შებმის დაწყების თავისებური წესებითა და სხვ. ქართული ჭიდაობის გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენს. „ლიბრგიელ“ იმართება სხვადასხვა დღესასწაულებზე და თავისუფალ დროს სპეციალურად მოწყობილ თავშესაფარ ადგილებში ან სოფლის ცალკეულ უბანში.

მკითხველს რომ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რას წარმოადგენს სვანური ჭიდაობა, შევეცდებით მოკლედ აღვწეროთ იგი.

მოჭიდავეები სვანური შალის ხალათს იცვამენ. ქამარი ფალანის კოსტიუმის აუცილებელი ელემენტია, იგი წელზე მაგრად არ უნდა იყოს მოჭერილი. ამის შესახებ დავაც არის ხოლმე. მოწინააღმდეგე მხარე თხოულობს ქამარი ისე მოიჭიროს, რომ შესაძლებელი იყოს ხელის ქამარში თავისუფლად ჩავლება. ფეხზე სვანური ქალამნები აცვიათ, თავზე ჩვეულებრივი სვანური ქუდი ახურავთ.

ჭიდაობა იწყება უფროსების გამოძახებით. გამოძახებული მოჭიდავეები ნელა უახლოვდებიან ერთმანეთს და წყნარად

ჩაპკიდებენ ქამარში ხელებს... ფეხების მოქმედება „ლიბრ-გიელში“ თითქმის ისეთივეა, როგორც ქართულ ჭიდაობაში, იციან გარეკაური, შუაკაური, მუხლის ჩაქეტვა, თეძოზე წამოდება, მოგვერდი — „ფოყთელიკვანე“. უნდა ითქვას, რომ მოჭიდავე, რომელსაც თავისი ძალის იმედი აქვს, ფეხებს შედარებით ნაკლებად ხმარობს. არიან ისეთი მოჭიდავეებიც (უშთავრესად დამწყებნი), რომელთაც ფეხის ხმარებისა ეშინიათ (თავისივე ფანდმა რომ არ წააქციოს). თუ ჭიდაობის დროს რომელიმე ფალავანი გაიჩაჩხება სარმის შიშით, ახლო გამართულ ბრძოლას მოერიდება, ქომაგები ადგილებიდან რჩევებს აძლევენ. გაისმის შეძახილები: „შიგნით შედი“, „ნუ გეშინია“, „თამამად“.

„ლიბრგიელის“ თავისებურებაა ის, რომ ჭიდაობის დაწყებისას სისწრაფეს გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მოჭიდავეები მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ ჭიდილს, როდესაც მარჯვენა მხრებით მიეყრდნობიან ერთმანეთს და წელზე შემორტყმულ ქამარში ჩაპკიდებენ ხელებს. ზოგჯერ ერთმანეთს წინასწარ ეკითხებიან ხოლმე. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება: „მომკიდე ხელი თუ არა?“, „მზადა ვარ“, „მაშ დავიწყით!“. ამით ყოველმხრივ გამორიცხულია მოულოდნელობა, შედარებით ძლიერი მოჭიდავის შემთხვევით წაქცევა.

როდესაც საჭიროა ფანდის გამოყენება, ფალავანი მუხლებზე ჩაჯდება. ამ დროს მოჭიდავე ცალი ხელით მიწას ეყრდნობა. არის შემთხვევები, როდესაც ორივე მოწინააღმდეგე ჩაიმუხლებს, თუმცა ასეთი მომენტი იშვიათია. საერთოდ ერიდებიან ჩოქზე დაცემას, ვინაიდან სამჯერ დაჩოქება წაქცევას უდრის.

წაქცეულად ითვლება ბეჭებზე, ან ბეჭზე დაცემული მოჭიდავე, აგრეთვე მკერდზე და გვერდზე დევარდნილიც. საინტერესოა, რომ ერთხელ წაქცევა არ არის საკმარისი. იმ შემთხვე-

ვაში, თუ წაქცეულს არ დააკმაყოფილებს შედეგი და ჭიდაობის გაგრძელებას მოინდომებს, წამქცევი ვალდებულია განაგრძოს ჭიდაობა. უარის თქმა დიდი სირცხვილია.

ჭიდაობა „ლიბრგიელ“ მეტწილად 2—3-ჯერ წაქცევამდე გრძელდება. ანგარიში ხშირად 2:1 ან 2:2-ია ხოლმე. წაგება არ არის დიდი სირცხვილი. ისე კი საერთოდ მოჭიდავეებიცა და ხალხიც იმახსოვრებენ ვინ ვის შეხვდა, წააქცია თუ ვერა. ეს იმიტომ სჭირდებათ, რომ მომავალი ჭიდაობისათვის მოემზადონ და რევანში აიღონ. არის შემთხვევები, როდესაც ჭიდაობა საათზე მეტ ხანს გრძელდება. ამ დროს საქმეში მაყურებელი ერევა, რადგან ჭიდაობა ბლადუნში გადადის და ისედაც ნელი ტემპი სულ ეცემა ხოლმე. მაყურებელი შეძახილით ამხნეებს სუსტ მოჭიდავეს, რომელიც წაქცევის შიშით გაურბის ჭიდაობას და გაჩაჩხული დგას. სწორედ ამ დროს ეძახის ხოლმე მაყურებელი „შიგნით შედი“, „მიუახლოვდი“ და ა. შ.

საინტერესოა, რომ „ლიბრგიელი“ ზამთრობითაც იმართება, სახელდობრ იანვარში, მიცვალებულის სახსენებელ დღესასწაულ „ლიფანაალის“ დროს, რომელიც ერთ კვირას გრძელდება სეტიისა და ლანჩვალის (მესტიის სოფლებია) საზღვარზე. „ლაგუნიაშზე“ მთელი კვირა გრძელდება ჭიდაობა თოვლზე. დილით ძალას სცდიან ბავშვები, შუადღიდან ბრძოლაში ებმებიან უფროსები. შეჯიბრება დაღამებამდე გრძელდება.

სვანეთში არის ჭიდაობის ერთი სახესხვაობა „ლიბუნძგვალ“, რაც მასობრივ გუნდურ ჭიდაობას ნიშნავს. აქ სოფლის ცალკეული უბნები ხვდებიან ერთმანეთს, წყვილები განსაზღვრული არაა. ქომადგები ითვლიან მოგებულებს და წაგებულებს და საერთო შედეგს აცხადებენ.

ძალზე საყურადღებოა ხევსურული ჭიდაობაც, რომელიც

ლიბრგიელისაგან განსხვავებით. მშვიდობიანად არ თავდება — ფალანგებს შორის უფლი ჩამოვარდება ხოლმე. ხევსურულ ჭიდაობაში „მოშ და მოშ“ (მკლავ და მკლავ) ფეხს არ ხმარობენ, ამიტომ მოჭიდავეებს არც ქამარი სჭირდებათ ხელის ჩასავლებად. ჭიდაობის მეორე სახეობა, რომელიც აქ ტარდება არის „მუქასრისა ხელის ჩავლებით“. აქ კი ფეხებითაც მოქმედებენ და მშვენივრად იყენებენ „ხრინკას“ (ჭიდაობის ფანდს; ხევსურეთში ძველად ასე უწოდებდნენ) ანუ სარმას. ჭიდაობენ ძხოლოდ ზაფხულობით. მიზანი საკუთარი ძალის გამოცდაა. ჭიდაობა ტარდება დღეობებზე — ამალღება, ათენგენობა და სხვა უქმე დღეებში.

ქართული ჭიდაობის საინტერესო ვარიანტია დამოწმებული რაჭაშიც. მას „ღოჯურ ჭიდაობას“ უწოდებენ. იგი ქართული ჭიდაობისაგან ძხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ყველა ფანდი ღოჯური ჩაჭიდებით იწყება. სხვათა შორის აქ ფალანგები ჭიდაობის წინ ერთმანეთს ეკითხებიან: „ჩვენებურად, ღოჯურად ვიჭიდავოთ თუ ქართულად?“.

აღსანიშნავია, რომ ლიბრგიელი, ხევსურული და რაჭული ვარიანტები ჭიდაობის ადრინდელი სახეობებია. ისინი ძალისმიერი ხერხებით ხასიათდებიან. ქართული ჭიდაობა კი მომდევნო, განვითარებული ეტაპია, შეჯამებული და ტექნიკურად დახვეწილი ვარიანტია. ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც სვანურში, ისე ხევსურულ და რაჭულ ჭიდაობაში შეიძლება მოიძებნოს ისეთი ფანდები, რომლებიც სათანადო დამუშავებისა და დახვეწის შემდეგ, ქართული ჭიდაობის ტექნიკურ არსენალს გაამდიდრებს. მოჭიდავე ერთი ან ორი „საცვარელი“ ფანდით არ უნდა გამოდიოდეს სარბიელზე. მას დამუშავებული უნდა ჰქონდეს სულ ცოტა 10—15 ფანდი და ყოველი მათგანი მოწინააღმდეგის მოულოდნელად უნდა გამოიყენოს ამასთან ჭიდაობის კლასიკურ სახეობებს თუ ეროვნული სახე-

ობების ბაზაზე დამუშავებული ფანდი არ მივაწოდეთ, ისინი დაკარგავენ სიმძაფრეს და სანახაობით მხარეს. ახლა მოჭიდავეების განათლების დონე საკმაოდ მაღალია. ამიტომ ფსიქოლოგიურ განწყობას დიდი ადგილი ეთმობა. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ტექნიკური ფანდების სიმრავლეს და ნებელობის უაღრესად განვითარებას.

ახლა კი ზოგადად გავეცნოთ ქართული ჭიდაობის წესებსა და ტექნიკას.

შ ე ხ ვ ე დ რ ა თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა.

I და II თანრიგოსან მოჭიდავეებს დღის განმავლობაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არა უმეტეს ოთხ შეხვედრაში, მესამე თანრიგოსნებს არა უმეტეს სამ შეხვედრაში, ხოლო ახალბედებს და ჭაბუკებს ორ შეხვედრაში. მეორე შეხვედრის წინ მონაწილეს დასასვენებლად უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 20 წუთი, მესამე და მეოთხე ბრძოლის წინ კი 30 წუთი.

ჭ ი დ ა ო ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი დ ა დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა.

ჭიდაობის დაწყების წინ მოჭიდავენი დგებიან სარბიელის კუთხეებთან ერთმანეთის პირდაპირ. შუამავალი მსაჯის სასტვენის ხმაზე მოჭიდავენი სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს, ხელს ართმევენ, გვერდს უვლიან, შემობრუნდებიან და იწყებენ ჭიდაობას.

შეჯიბრების დამთავრებისას მოჭიდავენი დგებიან სარბიელის შუაში, მსაჯის აქეთ-იქიდან. შედეგის გამოცხადებისა და გამარჯვებულის ხელის აწევის შემდეგ, მოჭიდავეები ხელს ართმევენ ერთმანეთს და გადიან სარბიელიდან. მოჭიდავე, რომელიც მოწინააღმდეგეს ხელს არ ჩამოართმევს, შეჯიბრებიდან იხსნება.

ჭ ი დ ა ო ბ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა დ ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა.

ჰიდაობა იწყება, მთავრდება, დაუყოვნებლივ წყდება და ხელახლა იწყება მსაჯის სასტვენის ხმაზე.

I და II თანრიგოსნები ჰიდაობენ 5 წუთს, მესამე თანრიგოსნები — 4 წუთს, ხოლო ახალბედები და ჰაბუყები — 3 წუთს.

გუნდური შეჯიბრებების დროს და სხვადასხვა თანრიგის მოჰიდავეთა შეხვედრისას ჰიდაობის ხანგრძლივობა უნდა შეეფარდებოდეს მაღალი თანრიგისათვის დაწესებულ დროს.

მოჰიდავეებს ჰიდაობის მსვლელობისას უფლება არა აქვთ არბიტრის ნებართვის გარეშე გავიდნენ სარბიელიდან.

თუ ერთ-ერთმა მოჰიდავემ მიიღო ტრავმა ან წესრიგში არა აქვს ტანსაცმელი, ჰიდაობა წყდება 5 წუთით. თუ 5 წუთის გასვლის შემდეგ მოჰიდავე ვერ შესძლებს ჰიდაობის გაგრძელებას, იგი მოიხსნება შეჯიბრებიდან და ჩაეთვლება დამარცხება. თუ ჰიდაობა შეწყდა რამდენიმეჯერ, შეჩერებებზე დახარჯული დრო ჯამდება. იგი არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს.

ჰ ი დ ა ო ბ ი ს შ ე დ ე გ ი .

ჰიდაობის შედეგს წარმოადგენს ერთი მოჰიდავის გამარჯვება და მეორე მოჰიდავის დამარცხება, ან ორივე მოჰიდავის დამარცხება.

ჰიდაობის მოგება მოჰიდავეს შეუძლია:

- ა) წმინდა მოგებით (ზურგზე დაგდება);
- ბ) ქულებით;

გ) მოწინააღმდეგის მოხსნის შედეგად (ორი გაფრთხილების შემდეგ, რომლებიც მოწინააღმდეგეს ეძლევა პასიურობისათვის, წესების დარღვევისათვის და ა. შ.);

დ) მოწინააღმდეგის სარბიელზე გამოუსვლელობის გამო;

ე) თუ მოწინააღმდეგემ უარი განაცხადა ჰიდაობის გაგრძელებაზე ტრავმის გამო და სხვ.

ვ) ორივე მოჰიდავეს სუფთა დამარცხება ჩაეთვლება მა-

შინ, როცა ისინი მიიღებენ ორ გაფრთხილებას პასიური ჭიდაობისათვის, ანდა წესებს დაარღვევენ.

წ მ ი ნ დ ა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა.

როცა მოჭიდავე სარბიელს ერთდროულად ორივე ბეჭით შეეხება (თუნდაც წამიერად), ან გადაგორდება ზურგზე ისე, რომ სარბიელზე ბეჭებით შეხება ხდება ერთმანეთის მიყოლებით (როგორც განუწყვეტელი მოძრაობა), მას დამარცხება ჩაეთვლება. იმ მოჭიდავეს, რომელიც „ხიდურზე“ შედგომით დააღწევს თავს კრიტიკულ მომენტს, წმინდა დამარცხება ჩაეთვლება.

საჭიდაოდ გამოუცხადებლობისათვის მოგება ითვლება როგორც წმინდა გამარჯვება.

მოჭიდავეს, რომელმაც წმინდა გამარჯვება მოიპოვა, ოქმში უწერენ 0 ქულას, დამარცხებულს — 4 წამგებიან ქულას.

წმინდა მოგება ჩაითვლება:

ა) როცა მას მიიჩნევენ შუამავალი მსაჯი და სამი გვერდითი მსაჯიდან თუნდაც ერთი მსაჯი.

ბ) როცა მას მიიჩნევენ ორი გვერდითი მსაჯი და შუამავალი მსაჯიც თანახმაა.

გ) როცა მას მიიჩნევენ სამივე გვერდითი მსაჯი, თუნდაც ამას არ ეთანხმებოდეს შუამავალი მსაჯი.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ქ უ ლ ე ბ ი თ.

თუ ჭიდაობისათვის დაწესებული დროის განმავლობაში ადგილი არ ექნება წმინდა გამარჯვებას, მსაჯები გამარჯვებულს განსაზღვრავენ ჭიდაობის ხარისხით, რაც გამოიხატება მის მიერ ჩატარებული ფანდების შედეგად დაგროვილი ქულებით.

ეს უპირატესობა განისაზღვრება ჭიდაობის დროს ჩატარებული ფანდების საფუძველზე. ქულების თანაფარდობისას უპირატესობა ენიჭება მოჭიდავეს, რომელმაც ჩაატარა მეტი

სრულფასოვანი ფანდი, იჩენდა აქტიურობას, ვისაც ნაკლები საკუთარი წონა აქვს, და ბოლოს, ჩატარებული ჭიდაობის საერთო შთაბეჭდილების მიხედვით.

თუ ჭიდაობის დამთავრების შემდეგ არც ერთ მოჭიდავეს ქულა არა აქვს, მაშინ ორივეს ჩაეთვლება დამარცხება ქულებით.

ჭიდაობის მსვლელობისას გვერდითი მსაჯები სამსაჯო ბართის შესაბამის სვეტებში ქულობრივად აფასებენ მოჭიდავეთა მიერ ჩატარებულ ფანდებსა და მიღებულ გაფრთხილებებს. ჭიდაობის დამთავრებისათვის ისინი აჯამებენ მას. იმარჯვებს მოჭიდავე, რომელმაც ჭიდაობისას ქულების მეტი რაოდენობა მიიღო. გამარჯვებულს ეწერება ერთი, ხოლო დამარცხებულს სამი წამგებიანი ქულა.

ფ ა ნ დ ე ბ ი ს შ ე ფ ა ს ე ბ ა .

ყოველი სრულფასოვანი ფანდის ჩატარებისათვის მოჭიდავეს ეწერება ორი მომგებიანი (საფანდო) ქულა, ხოლო არასრულფასოვანი ფანდის ჩატარებისათვის ერთი ქულა. ერთი მომგებიანი ქულა ეწერება მაშინაც, როდესაც მოწინააღმდეგეს რაიმე მიზეზის გამო მისცემენ გაფრთხილებას.

სრულფასოვნად ითვლება ფანდი, რომლის ჩატარების შედეგად მოჭიდავე მთელი სხეულით ეცემა ისე, რომ ზევით დარჩენილი ბეჭი დახრილია სარბიელისაკენ, ან ეცემა უკან იდაყვებზე.

არასრულფასოვნად ითვლება ფანდი, რომლის ჩატარების შედეგად მოჭიდავე ეცემა გვერდზე, პირქვე, ან ეცემა და ხელით ებჯინება სარბიელს, ან ჯდება სარბიელზე ხელის შეუხებლად.

პ ა ს ი უ რ ო ბ ა .

პასიურად ითვლება მოჭიდავის ისეთი მოქმედება, როცა ის შეტევას იგერიებს და კონტრშეტევაზე არ გადადის, აგრე-

თვე გარბის სარბიელიდან, ან ზოგჯერ ფანდის ყალბად გამოყენებით მოწინააღმდეგე გაჰყავს სარბიელიდან. პასიურად უნდა ჩაითვალოს განზრახ მუხლზე დაჩოქება, პირქვე დავარდნა მოწინააღმდეგის იერიშის აცილების მიზნით, ხელებით სარბიელზე დაბჯენა. ასეთ შემთხვევაში შუამავალი მსაჯი მოვალეა შეაჩეროს ჭიდაობა და მისცეს გაფრთხილება ერთ-ერთ მოჭიდავეს, ან ორივეს. თუ მოჭიდავეები გაფრთხილების შემდეგ მაინც არ შეცვლიან ტაქტიკას, მსაჯი აჩერებს ჭიდაობას და ერთს ან ორივე მოჭიდავეს დამარცხებულად აცხადებს.

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა და დ ი ს კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა .

აკრძალული ფანდების გამოყენებისას, უწესო საქციელისათვის ან პასიურობისათვის მოჭიდავეს ეძლევა გაფრთხილება. თუ გაფრთხილება ერთდროულად მიეცა ორივე მოჭიდავეს, მათ ეწერებათ თითო წამგებიანი ქულა.

მოჭიდავეს დისკვალიფიკაცია მიეცემა თუ:

ა) გაფრთხილების შემდეგაც გამოიყენებს აკრძალულ ფანდს;

ბ) განზრახ გამოიყენებს აკრძალულ ფანდს;

გ) უწესოდ ან უხეშად ეპყრობა მოწინააღმდეგეს ან მსაჯებს.

მოჭიდავის დისკვალიფიკაციისათვის მთავარ მსაჯს გამოაქვს დადგენილება, ხოლო შუამავალი მსაჯი აცხადებს მას.

ჭ ი დ ა ო ბ ა ს ა რ ბ ი ე ლ ი ს ნ ა პ ი რ ა ს .

თუ ერთი ან ორივე მოჭიდავე სარბიელს გარეთ აღმოჩნდება, მსაჯი წყვეტს ჭიდაობას და მოჭიდავეებს აბრუნებს სარბიელზე. სარბიელის გარეთ გაკეთებული ფანდები არ ითვლება.

სარბიელს გარეთა მდგომარეობად ითვლება, თუ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ჭიდაობისას ორივე ფეხის ტერფით გადააბიჯებს სარბიელის საზღვარს, ან კიდევ თუ სარბიელზე დაცე-

მისას მოჭიდავის ტანი და კიდურები სარბიელის საზღვარს გარეთ აღმოჩნდება.

თუ ერთ-ერთმა მოჭიდავემ ფანდის ჩატარება დაიწყო სარბიელის ნაპირზე, მაგრამ შუაგულისკენ, ჰიდაობა არ უნდა შეჩერდეს. თუ ძირს დაცემული მოჭიდავის ტანი სარბიელზეა, ხოლო ქვედა კიდურები სარბიელს გარეთ, ფანდი ჩაითვლება.

აკრძალული ფანდები.

ჰიდაობის დროს აკრძალულია ქამარს ქვევით ტანსაცმელში (ჩოხაში, ტრუსში, რეიტუზში) ჩავლება, წაქცეულთან ჰიდაობა; ჰიდაობის ყოველი დაწყებისას ხელის ტაცება, თუ მოწინააღმდეგე ზურგშექცეულია, ცალ თეძოსთან ორივე ხელის ტყუპად ჩავლება, მკლავით, ხელებით, ან ჩოხის საშუალებით („წყვილთა ჩოხა“) ყელში წაჭერა, გარტყმა, თავის გრეხვა ხელებით, ფეხზე ფეხის დადგმა; მაჯის, თითების, მკლავის გრეხვა სახსრების მოხრის საწინააღმდეგოდ. მოწინააღმდეგესთან ან მსაჯებთან ლაპარაკი. მოჭიდავეს უფლება აქვს მიმართოს მხოლოდ შუამავალ მსაჯს.

აკრძალული ფანდების გამოყენების, წესების დარღვევისა ან რაიმე უღისციპლინობისათვის, ისე როგორც პასიურობისათვის, მოჭიდავეს ეძლევა ერთი გაფრთხილება. განმეორების შემთხვევაში იგი მოიხსნება შეჯიბრებიდან. წესების განზრახ დარღვევისათვის მონაწილე შეჯიბრებიდან მოხსნილ უნდა იქნას გაუფრთხილებლად.

საკვიდაო სარბიელი, ლეიბი.

საკვიდაო სარბიელის დიამეტრი უნდა უდრიდეს 10 მეტრს, მოედანი იყოს სწორი და ჰქონდეს არანაკლებ 15 სანტიმეტრისა და არაუმეტეს 20 სანტიმეტრის სისქის ნახერხი ფენა. ნახერხი უნდა დაიფაროს ბრეზენტის საფარით, ხოლო ეს უკანასკნელი რბილი, მთლიანი საფენით.

ლეიბი უნდა იყოს ზომით არანაკლებ 8×8 მეტრისა და

არაუმეტეს 10×10 მეტრისა, სისქით 15-დან 18 სანტიმეტრამდე. ლეიბს უნდა ჰქონდეს თანაბრად და მჭიდროდ დატენილი სწორი ზედაპირი. მისი კიდეები ერთმანეთს ისე უნდა შეერთდებოდეს, რომ ჩაღრმავებული ან ამოხრცული ადგილები არ იყოს. საჭიდაო ლეიბის ირგვლივ საჭიროა დაიფინოს ერთი მეტრის სიგანის ტანვარჯიშული ლეიბები, რომლებიც სისქით საჭიდაო ლეიბის ტოლია. მათ ზევიდან უნდა გადაეფაროს საფენი, რომელიც საჭიდაო ლეიბის საფენისაგან განსხვავდება ფერით.

ლეიბისა და მთელი მოწყობილობის ვარგისიანობას განსაზღვრავენ მთავარი მსაჯი, ექიმი და შეჯიბრების ჩამტარებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი. სარბიელის ვარგისიანობა ფიქსირებულ უნდა იქნას შეჯიბრების ოქმში.

პირადი პირველობის მონაწილეთა ადგილების. განსაზღვრა.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ითვლება ის მოჭიდავე, რომელმაც ყველა შეხვედრის შედეგად მიიღო წამგებიან ქულათა უმცირესი რაოდენობა.

წამგებიანი ქულები იწერება: 0 ქულა წმინდა გამარჯვებისათვის; მოწინააღმდეგის მიერ წესების დარღვევის შედეგად მინიჭებული გამარჯვებისათვის; მოწინააღმდეგის მოხსნის, გამოუცხადებლობის, უარის თქმის ან ჭიდაობის გაგრძელების შეუძლებლობისათვის. ერთი ქულა გამარჯვებისათვის, ორი ქულა შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში. სამი ქულა ქულებით წაგებისათვის. ოთხი ქულა წმინდა წაგებისათვის, აგრეთვე წესების დარღვევის შედეგად მიღებული წაგებისათვის, შეჯიბრებიდან მოხსნისათვის, გამოუცხადებლობისათვის, უარის თქმის ან ჭიდაობის გაგრძელების შეუძლებლობისათვის.

ცოტა რამ ტექნიკიდან.

ჭიდაობის ტექნიკის აღწერისას მიზნად არ დაგვისახავს ყველა ფანდის, ყველა ნიუანსის ზუსტი გადმოცემა. ჩვენი მიზანია მკითხველს ილუსტრირების საშუალებით გავაცნოთ ძირითადი ფანდები.

ქართული ჭიდაობის ფანდების არსებული კლასიფიკაცია¹ ჩვენი აზრით დაზუსტებას ჰოითხოვს. ამიტომ გვერდს ავუვლით ე. წ. „თეძობის“ ჯგუფს. იგი უნდა მიეკუთვნოს მოგვერდების ჯგუფს, რადგანაც მისგან განსხვავდება მხოლოდ „თეძოს კვრით“ (ამ დროს ფეხი გამართულია), მაშინ როდესაც მოგვერდების დროს „წელის კვრას“ აქვს ადგილი. (ფეხი ამ დროს სათანადოდ მოხრილია). შემთხვევითი არ არის, რომ თეძოს „მოკლე მოგვერდს“ უწოდებენ. ერეკლე კახნიაშვილის ხელნაწერებში მოგვერდი ახსნილია როგორც „თეძოს კვრა ფუნდრუკში“².

ქართული ჭიდაობის ფანდები ორ ჯგუფად იყოფა: შეტევითი და თავდაცვითი. შეტევით და თავდაცვით ფანდებს მთელი რიგი საწინააღმდეგო ანუ საპასუხო კონკრეტული ხერხები აქვთ, რომელთა გარკვეული ნაწილი საერთოა.

ძირითად შეტევით ფანდებს მიეკუთვნება: ცერულები, სარმები, მოგვერდები, კაურები, ლოჯურები და კისრულები. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა „ლოჯურის“ გადაღება. იგი გულისხმობს ორივე ხელის ჩაკიდებას წელზე და წარმოდგენილია სამი ნაირსახეობით: წინალოჯური (იგივეა, რაც „წინა სარტყელი“ კლასიკურ ჭიდაობაში), უკანალოჯური („უკანა სარტყელი“) და გვერდითი ლოჯური („გვერდითი სარტყელი“).

¹ ი. თომაშვილი, ქართული ჭიდაობა. თბ. „სახელგამი“, 1957; ვ. ბალაქაძე, ს. მახსურაძე, ქართული ჭიდაობა, „ცოდნა“, 1968.

² ხელნაწერი გავაცნო ჭიდაობის ერთ-ერთმა ძველმა წარმომადგენელმა და მსაჯმა, ერეკლე კახნიაშვილის ძმამ გიორგი ვერელმა.



ცერული მარცხენა ფეხით




ცერული მარჯვენა ფეხით



ცერული გაგრძელება



გარესარმა



გარესარმა წინ გლებით



შუასარმა უკანგლებით



უკანასარმა



უკან წყვილსარმა



გამოკრული სარმა



მოგვერდსარმა



მოგვერდი წელზე მოვლებით



მოგვერდი წელზე მოვლებით



გრძელი მოგვერდი



მოგვერდი ილღის ქვეშ
მოვლებით



მოგვერდის საწინააღმდეგო,
იგივე გარესარმის საწინააღმდეგო




მოგვერდის საწინააღმდეგო,
იგივე შუასარმის საწინააღმდეგო



შუაკაური უკან გდებით




შუაკაური წინ გდებით



მკლავკისრული



მკლავკისრული



ძალისმიერი მოგვერდი



ლაბრევილის ფანდენი

ამრიგად, ჩვენ მოკლედ გავეცანით ქართული ჭიდაობის ისტორიას, წესებსა და ტექნიკას.

ქართული ჭიდაობა ბევრმა ქართველმა მწერალმა აღწერა თავის მოთხრობებში თუ ლექსებში. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკში“ აბდულ შაჰილისა და ბაში-აჩუკის ჭიდაობა. მწერლებმა გიორგი ნატროშვილმან, ს. მთვარაძემ, გ. აბაშიძემ, თ. ჰელიძემ შესანიშნავად დაგვიხატეს თავიანთ ნაწარმოებებში ქართული ჭიდაობა. არც კომპოზიტორები დარჩნენ ვალში. საყოველთაო აღიარება მოიპოვა რ. ლალიძის „საჭიდაომ“, რომელსაც ხშირად ასრულებს თავის კონცერტებზე საქართველოს სიმფონიური ორკესტრი. ასევე წარმატებით ასრულებს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი ს. ცინცაძის მიერ დამუშავებულ „საჭიდაოს“.

ქართულ ჭიდაობას ჯეროვანი ადგილი უკავია ქართულ ფოლკლორში. ხალხი უმღეროდა, ქება-დიდებას ასხამდა თავის ფალავანს, ლექსებს, ზღაპრებს და ლეგენდებს თხზავდა მათზე:

„ქალამანი ამოვისხი დეკეულა, ფერთხელაო,
შენთან ჭიდაობა მინდა, ვერ გაგშინჯე ერთხელაო.“¹

შაირობდნენ ბიჭები სოფლად და ამით გამოხატავდნენ თავიანთ სურვილს მოესინჯათ ერთმანეთის ღონე. მოგვეპოვება ხალხური ლექსები, რომლებიც ჭიდაობაში განცდილ მარცხსა და ამის შედეგად გამოწვეულ ტრაგიკულ დასასრულს გადმოგვცემს:

„თელეთობას ვიჰიდავე, ტოლი შემხვდა არჯალიო,
წამაქცია, შემარცხინა, მკერდს დაეცი ხანჯალიო“.

¹ ანტონ ხინთიბიძე, „აღზრდის იდეები“ ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, „ნაკადული“, თბ., 1963, გვ. 212.

ყველა ხალხური გმირი კარგი მოჭიდავეც იყო. განა არსენა ოძელაშვილს ვინმე შეედრებოდა ჭიდაობაში? თამარ ვაშლოვნელი და ანა ბაჯიც (ქალები) კი ჭიდაობდნენ.

გავიხსენოთ აღგილი იეთიმ გურჯის „ანა-ბაჯის ლექსიდან“:

„სოფრომუჯა გაჰოვარდა, ჰქვე გამიშვით, გავალ აპა“,
ანამ ერთი გამოკვრით ზე მიწაზე დაათხაპა“.¹

ან კიდევ:

„ვაშლოვანლებს ვილა მისცემს,
საყუარელსა მათსა ქალსაო,
მეომარსა, ფალავანსა,
გმირ ვაჟკაცების ცალსაო“²

არის ერთი საინტერესო ხალხური გადმოცემა, ერეკლე მეფეს ერთხელ თავის მოწინააღმდეგემ შემოუთვალა ვიომოთო, რაზედაც მან უპასუხა: „ხალხის მუსვრა რად გვინდა, მოღვიპიდაოთო“³.

საინტერესოა, რა მდგომარეობა გვაქვს დღეს, აქვს თუ არა ხალხური სპორტის ამ მარგალიტს პერსპექტივა?

საქართველოში კულტივირებული 44 სახეობიდან ბევრი, როგორც იტყვიან, „საკაეშიროა“, ბევრიც „საერთაშორისო“. რესპუბლიკური მხოლოდ ცხენოსნური თამაშობები, ლელო და ქართული ჭიდაობაა. მშვილდოსნობა, რომელსაც ერთ დროს ხალხურ სპორტად მივიჩნევდით და მოვითხოვდით მის დანერგვას, ახლა (მეორედ) ოლიმპიურ სახეობად გამოაცხადეს და, ამრიგად, მას უკვე გამოუჩნდა ისეთი „პატრონი“. რომელიც არაფერს მოაკლებს.

¹ იეთიმ გურჯი, ლექსები, „მერანი“, თბ., 1969, გვ. 170—171.

² ქს. სიხარულიძე, ქართველი სახალხო გმირები, თბ., 1956, გვ. 15—16.

³ ანტონ ხინთიბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

ქართული ჭიდაობა კი „რესპუბლიკურად“ დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო უპირატესობა აქვს, მაინც ვერ შევძელით მისი საერთაშორისო სარბიელზე გატანა. ახლა, როდესაც რესპუბლიკაში კულტივირებულია თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობები, სამბო და ძიუდო, რასაკვირველია, ძნელია ქართულმა ჭიდაობამ ოთხივე საერთაშორისო ჭიდაობა დაჩრდილოს. ეს დაუშვებელიცაა. მაგრამ ქართულ ჭიდაობას, როგორც ჩვენი ხალხის შემოქმედების ნაყოფს, განსაკუთრებული პატივი უნდა ვცეთ. ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის ყველა სპორტულ (განსაკუთრებით ბავშვთა) სკოლაში მუდმივად, როგორც კლასიკურ სახეობებში, მოქმედებდნენ ქართული ჭიდაობის სექციები. საჭიროა დაარსდეს ქართული ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა. ამასთან სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური პირველობა და შეჯიბრება საქართველოს ფალაენის სახელზე არ არის საკმარისი. საჭიროა მასობრივი შეჯიბრებები, პირადი და გუნდური პირველობები, ცალკეული მატჩები, ამხანაგური შეჯიბრებები. ქართული ჭიდაობა უნდა გახდეს ყველა საქალაქო თუ რაიონული მასობრივი კულტურული ღონისძიების უცვლელი მონაწილე. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ თავისუფალ თუ კლასიკურ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრებებით განებივრებული მაცურებელი, ქართულ ჭიდაობას მაინც დაესწრება, ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება ახლაც. მაგრამ, როგორც ყველა სხვა ღონისძიებას, ქართულ ჭიდაობასაც სჭირდება ცოცხალი რეკლამა, თვით შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზება და, რაც მთავარია, კარგად გაწვრთნილი სპორტსმენები, რომლებიც სარბიელზე ცეცხლს დაანთებენ, მაცურებელს აჩვენებენ ნამდვილ ქართულ ჭიდაობას, დაამახსოვრებენ ყოველ ცალკეულ შეხვედრას. ასე დაყენებული საქმე ერთიორად გაზრდის ქართული ჭიდაობის ავტორიტეტს, გადიდდება სპორტულ

სექციებში მომეცადინეთა რიცხვი და გამოვლინდებიან სპორტული ტალანტები ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობს იმას, რომ ქართული ჭიდაობა გადაიქცეს დამხმარე სახეობად. არა. იგი დამოუკიდებელი სახეობაა. მან ეს პატივი საუკუნეების მანძილზე დაიმსახურა.

შეიძლება მკითხველს დაებადოს კითხვა: რატომ ვიცავთ მას ასე თავგამოდებით, ნუთუ ვინმე ხელყოფს მას, ნუთუ ამოიწურა იგი, როგორც სპორტის სახეობა და ახლა, როგორც რელიქვია, ძვირფასი ნივთი, მუზეუმის კუთვნილებად უნდა იქცეს?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, სხვა კითხვაზე გავცემთ პასუხს: რა მისცა რესპუბლიკას ქართულმა ჭიდაობამ?

პირველი და ყველაზე დასაფასებელი: ათიათასობით ადამიანის ჯანმრთელობა განამტკიცა!

შემდეგ: ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე აღიზარდნენ საქვეყნოდ აღიარებული ფალანგები: ა. მეკოკიშვილი, დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, ვ. რუბაშვილი, ლ. თედიაშვილი და მრავალი სხვა.

საიდუმლოება არ არის — ერთი მსოფლიო ჩემპიონი რომ აღზარდო მის უკან მოჭიდავეთა მასა უნდა იდგეს, მტკიცე ბაზა უნდა არსებობდეს. ეს ბაზა ყოველთვის ქართული ჭიდაობა იყო. იგი აძლევდა ჩვენს მსოფლიო ჩემპიონებს ჭიდაობის შესისხლხორცებულ ჩვევებს.

1974 წლის თებერვალში თბილისში ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნა საუბარი (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელთან ვ. ანდრეევთან. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ექვსი მონაწილე საქართველოდან არის, რაც შემთხვევითი არაა. ქართული ძიუდოისტების წარმატებათა თავი და თავი ქართული ჭიდაობაა. საკმარისი იყო მათ ქარ-

თული ჩოხა გაეხადათ და იაპონური კიმონო ჩაეცვათ, რომ გამარჯვება გამარჯვებას მოჰყვას.

სწორი შეფასებაა.

გაზეთმა „ლელომ“ შეაჯამა ძიუდოში საერთაშორისო შეჯიბრების შედეგები და მეტად საგულისხმო დასკვნები გააკეთა. „შოთა ჩოჩიშვილი, ისევე როგორც ბევრი სხვა მისი თანატოლი, ძიუდოში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. ეს გარემოება ერთგვარ პრივილეგიას აძლევს ჩემპიონს. ჩოჩიშვილი წმინდა წყლის ქართული მოჭიდავია, მისი საუკეთესო თვისებების მატარებელი. ქართულმა ჭიდაობამ გაამდიდრა და გააკეთილშობილა ჩოჩიშვილის სპორტული აზროვნება და საშუალება მისცა მას ძიუდო ახლებურად დაენახა.

ჩვენი საუბარი სავსებით ბუნებრივად მიადგა ერთ საინტერესო საკითხს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ხანს აშკარად შეიმჩნევა ქართული ჭიდაობის როლის შეუფასებლობის მავნე ტენდენცია. მართლაც, რა ადგილი უკავია ქართულ ჭიდაობას სპორტში? რა როლი ეკისრება მას ჭიდაობის სხვა კლასიკურ სახეობებთან ურთიერთობაში? ბევრი საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტის აზრით, ქართველი ძიუდოისტების წარმატების საიდუმლო ქართულ ჭიდაობაში უნდა ვეძებოთ. ამიტომაც, სანამ რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში პოპულარულია ეროვნული ტრადიცია, საქართველოს არ გამოეღვევა დელეგატები ნაკრებ გუნდებში“¹.

მაგრამ, ამავე წერილში აღნიშნულია მეტად საგანგაშო ამბავი: ჩემპიონატზე ჩამოსული მრავალრიცხოვანი სპორტსმენებისა და სტუმრებისათვის საქართველოს სპორტის მესვეურებს უჩვენებიათ ქართული ჭიდაობა, მაგრამ ჯობდა რომ არ

¹ ნ. გუგუშვილი, რითაც ვართ ძლიერნი, „ლელო“, 1974, 17 მარტი, № 54.

ეჩვენებინათ. აი რას წერს ამის შესახებ „ლელო“: „თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებსა და სტუმრებს აჩვენეს, თუ რა არის ქართული ჭიდაობა. ცდა იმისა, რომ უფრო პოპულარული გავხადოთ ჩვენი ჭიდაობა, რა თქმა უნდა, სწორია და მისასალმებელი, მით უმეტეს, თვალწინ გვაქვს მაგალითი იაპონელებისა, რომლებმაც ძიუდო ოლიმპიური დისციპლინების რანგამდე აიყვანეს. მაგრამ როცა უცხოელებს ვაცნობთ ჩვენს სიმდიდრეს, მეტი სიფრთხილე, მეტი დაკვირვებაა საჭირო. დარწმუნებული ვართ, იმ დღეს სტუმრებზე შთაბეჭდილება მოახდინა მხოლოდ ...ზურნისა და დოლის ეგზოტიკამ. თვით სარბიელზე კი რაღაც გაუგებარი რამ ხდებოდა. არც სარმა, შუაკაური, მოგვერდი ან კისრული! პატარა ფალავნები (ქართული ჭიდაობის დემონსტრაცია სწორედ მათ ჰქონდათ შინდობილი) არც ერთხელ არ გამართულან წელში, არც ერთხელ არ მისულან ერთმანეთთან ჭეშმარიტი რაინდული, ქართული ჭიდაობისათვის დამახასიათებელი შემართებით. პირიქით, მთელი ამ სანახაობის მიზანი თითქოს იმის ჩვენება იყო, თუ როგორ არ უნდა ვიჭიდაოთ ქართულად“.

გაზეთი არ მალავს თავის გულისტკივილს. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ თუ შევასუსტებთ ქართული ჭიდაობისადმი ყურადღებას, თუ არ ვიბრძოლებთ მისი აღმავლობისათვის, ყველა სახის ჭიდაობაში დავკარგავთ მოპოვებულ პოზიციებს და აქაც ისევე ჩამოვრჩებით, როგორც ჩამოვრჩით მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში, საგზატყეცილო ველორბოლაში.

აი ის საკითხი, რომელიც გვაღელვებს და რომლის გულისთვისაც დაიწერა ეს ბროშურა.

დღეს ყველგან კარგად ხმარობენ ქართულ მოგვერდს, კისრულს, შიგა და გარე სარმებს, შუაკაურს და გარეკაურს ...ყველა მათგანს შესატყვისები მოუძებნეს და ბევრმა არც კი იცის, რომ ისინი ქართული ჭიდაობის ფანდებია. იქნებ ერთი რამის

გაკეთება მაინც შეეძლოთ: იქნებ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ითავოს და მათ ქართული შესატყვისები შეუნარჩუნოს? ხომ ჭიდაობენ რუსები, სომხები, უკრაინელები და სხვა ხალხები იაპონურ ძიუდოს და ყველა ფანდს, და არა მარტო ფანდს, ქულასა და სარბიელსაც კი იაპონურ სახელებს უწოდებენ. მაშ რა დააშავა შუაქაურმა? დე, ყველგან როდესაც ამ ფანდს იხმარენ, ნუ დაარქმევენ ხელოვნურად შეკოწიწებულ სახელს, ნუ თარგმნიან მას, უწოდონ შუაქაური.



მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ თავისი კვალი დააჩნია ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს და, რასაკვირველია, სპორტსაც. გაზეთებში, ჟურნალებში წაიკითხავთ სპორტის ახალ სახეობებზე როგორცაა მოტობოლი, საპლანერო, საავიაციო, სავერტმფრენო სპორტი და სხვები, რომლებიც ოფიციალურად აღიარებული არიან. ჩვენ აქ არ დავასახელებთ კაპიტალისტურ სამყაროში კულტივირებულ ვაი სახეობებს, როგორც არის ტალახში ჭიდაობა, ცათამბჯენებს შორის გაჭიმულ თოკზე სეირნობა, შეჯიბრება თავდაყირა სიარულში და ა. შ. სიჩქარე, სიჩქარე, სიჩქარე! — მოითხოვს მეცნიერების თანამედროვე დონე და მანქანებიც დაქრიან მოყინულ ტბებზე, ჰაერში, გზებზე... ვინ იცის ცხოვრება კიდევ რამდენ ახალ სახეობას წარმოშობს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას წინ ვინ გადაუდგება...

მაგრამ ყველა ეს ახალგამომცხვარი სახეობა გარდამავალია. ისინი მეცნიერებისა და ტექნიკის ზრდასთან ერთად შეიცვლება: ახალი ჰორიზონტები ახალ სახეობებს წარმოქმნის. უცვლელი დარჩება ბუნებრივი სახეობანი, ხალხის მიერ მრავალი საუკუნეების მანძილზე დახვეწილი და დამუშავებული.

ბუნებრივი ყველაფერი კარგია, სარგებლიანია, ყველასათვის ხელმისაწვდომია. სწორედ ასეთი სპორტია ქართული ჭიდაობა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. ბულგარეთის ხელისუფლებამ გაითვალისწინა საერთოდ ჭიდაობის დიდი სარგებლიანობა ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საქმეში და იგი ყველა სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში შეიტანა, როგორც აუცილებელი. ამ ღონისძიებამ გაუგონარი შედეგი გამოიღო. ჭიდაობით დაინტერესდნენ მოსწავლეები, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იმართება მასობრივი შეჯიბრებები, რომლებშიც 500—600 პიონერულა ასაკის ბავშვი მონაწილეობს. ქვეყანამ, რომელსაც ჭიდაობის განსაკუთრებული ტრადიცია არ გააჩნია, რამდენიმე წელიწადში დიდ შედეგებს მიაღწია. ვინც თვალყურს ადევნებს საერთაშორისო შეჯიბრებებს ჭიდაობაში, ამაში დაგვერწმუნება. ამასთან ამ დადგენილების შესრულების კონტროლისათვის და საერთოდ ჭიდაობის განვითარების მეთვალყურეობისათვის, ყველა საოლქო თუ რაიონულ საბჭოებში, ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებებისა და კომიტეტების გარდა, არის სპეციალური თანამდებობა — ჭიდაობის ინსპექტორი.

შესანიშნავი თაოსნობაა!

ჩვენი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებმა ამ საქმეში ბულგარელი ამხანაგების გამოცდილება რომ გაიზიარონ, საქმეს წინ თუ წასწევდა, თორემ არაფერს გააფუჭებდა. ბულგარელმა ამხანაგებმა თავიდან დაიწყეს შენობის აგება. ჩვენ კი შენობა აგებულ იქნა, მისი საძირკველი მტკიცეა, მხოლოდ საჭიროა მისი მოვლა-პატრონობა.

რედაქტორი დ. იუკურიძე,
მხატვარი ნ. ხინველი,
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე,
ტექნიკური რედაქტორი ც. შველიძე,
კორექტორი ლ. არჩვაძე
გამომშვეები ნ. მაქარაშვილი.

გადაეცა წარმოებას 6/VI-75 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 16/X -75 წ. საბ. ქალ. № 2. ზომა 70×108¹/₃₂.
პირობ. ნაბ. თაბახი 2,1.. სააღრ-საგამომც. თაბახი 1,74
უე 00474 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 2409
ფასი 7 კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-
თა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სა-
ხელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა.
მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика государственного
Комитета Совета Министров Грузинской ССР по
делам издательства, полиграфии и книжной тор-
говли пр. Дружбы № 7